დამტკიცებულია ოსსა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე

ოქმი # 09, 20 სექტემბერი , 2024 წელი.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში

2024-2025 სასწავლის წლის სწავლის საფასურის გადახდის წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) 2024-2025 სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდის პირობებსა და გრაფიკს.

2. აკადემიის პირველკურსელთათვის 2024-2025 სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) პირველი სემესტრი:

ა.ა) წლიური საფასურის (2250 ლარი) ნახევარი თანხა - 1125 (ერთი ათას ას ოცდახუთი) ლარი გადახდილ უნდა იქნეს რეგისტრაციის დღისთვის;

ა.ბ) იმ პირველკურსელების მიერ, რომლებიც სარგებლობენ 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, წლიური საფასურის (2250 ლარი) ნახევარ თანხასთან (1125 ლარი) აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის შეფარდების გათვალისწინებით, შესაბამისად 337,50 (სამას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (70%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) და 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (50%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) გადახდილ უნდა იქნეს რეგისტრაციის დღისთვის;

ბ) მე-2 სემესტრი:

ბ.ა) წლიური საფასურის (2250 ლარი) ნახევარი თანხა - 1125 (ერთი ათას ას ოცდახუთი) ლარი გადახდილ უნდა იქნეს არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა;

ბ.ბ) იმ პირველკურსელების მიერ, რომლებიც სარგებლობენ 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, წლიური საფასურის (2250 ლარი) ნახევარ თანხასთან (1125 ლარი) აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლების შეფარდების

გათვალისწინებით, შესაბამისად 337,50 (სამას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (70%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) და 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (50%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) გადახდილ უნდა იქნეს არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

3. პირველკურსელების გარდა, აკადემიის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სხვა კურსების სტუდენტთა მიერ, რომლებიც სარგებლობენ 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, წლიური საფასურის (2250 ლარი) ნახევარ თანხასთან (1125 ლარი) აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის შეფარდების გათვალისწინებით, შესაბამისად 337,50 (სამას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (70%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) და 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (50%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) სემესტრების მიხედვით 2024-2025 სასწავლო წლის სწავლის საფასური გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) პირველი სემესტრი - არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღისა;

ბ) მე-2 სემესტრი - არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

4. პირველკურსელების გარდა, აკადემიის საბაკალავრო საფეხურის სხვა კურსებისა და სამაგისტრო საფეხურის ორივე კურსის სტუდენტთა მიერ, რომლებიც არ სარგებლობენ ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, სემესტრების მიხედვით 2024-2025 სასწავლო წლის სწავლის საფასური გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა) პირველი სემესტრი - არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღისა

ბ) მე-2 სემესტრი - არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

5. სტუდენტებს უფლება აქვთ, ამ წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი შესაბამისი ვადების ჩათვლით, სწავლის საფასური დაფარონ ნაწილობრივი შენატანების სახით, რომელთა ჯამური ოდენობა აკუმულირდება ერთიან თანხაში და სრულად უნდა შეესაბამებოდეს გადახდისთვის დადგენილი ვადების მიხედვით დასაფარი საფასურის ოდენობას.

6. სტუდენტებს (საბაკალავრო საფეხურის პირველკურსელების გარდა), რომლებმაც 2024-2025 სასწავლის წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე არ დაფარეს 2024-2025 სასწავლის წლის პირველი სემესტრის სწავლის საფასური, დაუწესდეთ შემდეგი დამატებითი ვადები 2024-2025 სასწავლის წლის პირველი სწავლის სემესტრის საფასურის გადახდისთვის:

ა) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სტუდენტთა მიერ, რომლებიც სარგებლობენ 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, წლიური საფასურის (2250 ლარი) ნახევარ თანხასთან (1125 ლარი) აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის შეფარდების გათვალისწინებით, 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სწავლის საფასური - შესაბამისად, 337,50 (სამას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (70%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) და 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (50%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) გადახდილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2024 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით;

ბ) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა მიერ, რომლებიც არ სარგებლობენ ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სწავლის საფასური გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, თითოეულზე (სემესტრის სწავლის საფასურის (1125 ლარი) ნახევარი) - 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით შემდეგ ვადებში:

ბ.ა) პირველი შენატანი (562,50 ლარი) - არაუგვიანეს 2024 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით;

ბ.ბ) მე-2 შენატანი (562,50 ლარი) - არაუგვიანეს 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით;

გ) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა მიერ, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ ინდივიდუალური გრაფიკი და რომლებიც არ სარგებლობენ ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, ინდივიდუალური გრაფიკის შესაბამისად 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრისთვის დადგენილი სწავლის საფასური გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, შემდეგ ვადებში:

გ.ა) პირველი შენატანი (ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით, 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრისთვის დადგენილი სწავლის საფასურის ნახევარი) - არაუგვიანეს ამ პუნქტის „ბ.ა" ქვეპუნქტში მითითებული ვადის ჩათვლით;

გ.ბ) მე-2 შენატანი (ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით, 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრისთვის დადგენილი სწავლის საფასურის ნახევარი) - არაუგვიანეს ამ პუნქტის „ბ.ბ" ქვეპუნქტში მითითებული ვადის ჩათვლით.

7. სტუდენტების (საბაკალავრო საფეხურის პირველკურსელების გარდა) მიერ, რომლებიც არ სარგებლობენ პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით და რომლებმაც 2024-2025 სასწავლის წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე ნაწილობრივ დაფარეს 2024-2025 სასწავლის წლის პირველი სემესტრის სწავლის საფასური, აღნიშნულ საფასურამდე (1125 ლარი) შესავსები თანხა გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, შესავასები თანხის 50-50%-ის ოდენობით, შესაბამისად ამ წესის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით შენატანებისთვის განსაზღვრულ ვადებში.

8. საბაკალავრო საფეხურის პირველკურსელების მიერ, რომლებმაც რეგისტრაციის დღისთვის სრულად ან ნაწილობრივ ვერ დაფარეს 2024-2025 სასწავლის წლის პირველი სემესტრის სწავლის საფასური (მათ შორის, პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით მოსარგებლეთათვის დადგენილი პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით), აღნიშნული საფასური სრულად გადახდილ უნდა იქნეს არაუგვიანეს ამ წესის „ბ.ა" ქვეპუნქტში მითითებული ვადის ჩათვლით.

9. 2024-2025 სასწავლის წლის მე-2 სემესტრთან მიმართებით, შესაბამისი დამატებითი კონკრეტული ვადები დაწესდეს შემდგომში ცალკე სახით, ამ წესის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული დანაწესების ანალოგიურად.

10. ამ წესის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებთან მიმართებით ანალოგიურად ვრცელდება ამ წესის მე-5 პუნქტის დანაწესი.

11. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ახერხებს ამ წესის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ დამატებით ვადებში საფასურის დაფარვას, ამავე დამატებითი ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში (თუ ამ ვადაშიც ვერ ახერხებს სრულად დაფარვას), სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს აკადემიის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს დასაბუთებული განცხადებით (განსაზღვრულ ვადებში საფასურის გადაუხდელობის მიზეზის განმარტებით), საფასურის გადახდისთვის განსხვავებული ინდივიდუალური ვადის დადგენის თაობაზე.

12. ამ წესის მე-11 პუნქტში მითითებულ განცხადებას დაჩქარებულ რეჟიმში განიხილავს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც, ამ განცხადებაში გამოთქმული თხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილად ჩათვლის შემთხვევაში, მიმართავს შუამდგომლობით აკადემიის წარმომადგენლობით საბჭოს, სტუდენტის მიმართ გამონაკლისის დასაშვებად გადაწყვეტილების მისაღებად და ამავე მიმართვაში, ფაკულტეტის საბჭო მიუთითებს სტუდენტის მიერ საფასურის გადახდისთვის განსასაზღვრ გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადების შემდგომ ჩასატარებელი შესაბამისი გამოცდების დაწყების თარიღს.

13. ამ წესის მე-12 პუნქტში გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების მიზანშეწონილად ჩათვლის შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭო უახლოეს სხდომაზე სტუდენტს განუსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილ ვადაში საფასურის დაფარვის ვალდებულებას და თუ სტუდენტი ამ ვადაშიც არ დაფარავს საფასურს, იგი არ დაიშვება ამ წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადების შემდგომ ჩასატარებელ შესაბამის გამოცდებზე და ვერ მიიღებს კრედიტს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

14. ამ წესის მე-11 პუნქტში მითითებულ განცხადებაზე ფაკულტეტის საბჭოს მხრიდან უარის, ან ამ წესის მე-12 პუნქტში გათვალისწინებულ შუამდგომლობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან უარის შემთხვევაში, სტუდენტი არ დაიშვება ამ წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადების შემდგომ ჩასატარებელ შესაბამის გამოცდებზე და იგი ვერ მიიღებს კრედიტს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

15. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ გადაიხდის ამ წესის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებშო მითითებულ დამატებით ვადაში საფასურს და არ ისარგებლებს ამ წესის მე-11 პუნქტით განსაზღვრული უფლებით, იგი არ დაიშვება ამ წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადების შემდგომ ჩასატარებელი შესაბამის გამოცდებზე და იგი ვერ მიიღებს კრედიტს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

16. სტუდენტი (მათ შორის, პირველკურსელიც), რომელიც შესაძლებელია სარგებლობდეს სხვადასხვა ორგანოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის

მხრიდან მისაღები სოციალური გრანტით, რომლითაც სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება დაფარულ იქნეს სწავლის საფასური, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა (პირველკურსელები - რეგისტრაციის დღეს) განცხადებით აცნობოს (სოციალური გრანტის გამცემის მხრიდან წინასწარი თანხმობის/დაპირების შესახებ კორესპოდენციის თანდართვით) აკადემიას, სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდასთან მიმართებით ინდივიდუალური მიდგომის/გადაწყვეტილების მიღების (საჭიროებისამებრ, წარმომადგენლობით საბჭოს მიერ, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით) მიზნით.

17. ამ წესის მე-16 პუნქტიდან გამომდინარე, სტუდენტს განესაზღვრება ინდივიდუალური ვადა საფასურის დაფარვისთვის (სრულად სოციალური გრანტის გამცემის მხრიდან, ან ნაწილობრივ სოციალური გარანტის გამცემისა და ნაწილობრივ თავად სტუდენტის მიერ თანაგადახდის სახით) და თუ სტუდენტი ამ ვადაშიც არ დაფარავს საფასურს, იგი არ დაიშვება ამ წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადების შემდგომ ჩასატარებელ შესაბამის გამოცდებზე (პირველკურსელებთან მიმართებით, ასევე პირველ სემესტრში გათვალისწინებულ გამოცდებზე) და ვერ მიიღებს კრედიტს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

18. ამ წესის მე-16 პუნქტში მითითებული სტუდენტი სარგებლობს ამ წესის მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლებით და ამასთან, ამ წესის მე-16 პუნქტში გათვალისწინებულ შესაძლებლობაზე ფაკულტეტის საბჭოს/წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან უარის შემთხვევაში, სტუდენტი არ დაიშვება ამ წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადების შემდგომ ჩასატარებელ შესაბამის გამოცდებზე (პირველკურსელებთან მიმართებით, ასევე პირველ სემესტრში გათვალისწინებულ გამოცდებზე) და იგი ვერ მიიღებს კრედიტს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

19. იმ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ ობიექტურად ვერ ხერხდება ამ წესის მიხედვით გადაწყევტილების მიღება (მათ შორის, პირველკურსელის მიერ პირველი სემესტრის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ ვერ დაფარვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული არ ეხება ამ წესის მე-16 პუნქტში მითითებულ შემთხვევას), სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია, გამონაკლისის სახით მიიღოს მიიღოს ინდივიდუალური

გადაწყვეტილება იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება სტუდენტის საუკეთესო ინტერესები, ფინანსურად არ დაზარალდება აკადემია და ამ ინდივიდუალური გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სტუდენტი არ დაიშვება ამ წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადების შემდგომ ჩასატარებელ შესაბამის გამოცდებზე (პირველკურსელებთან მიმართებით, ასევე პირველ სემესტრში გათვალისწინებულ გამოცდებზე) და იგი ვერ მიიღებს კრედიტს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

20. გარდა ამ წესის მ-19 პუნქტში მითებულია გარემოებებისა, წარმომადგენლობით საბჭოს შეუძლია მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება სწავლის საფასურის გადახდასთან.